ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება
(ამხანაგობა)

მუხლი 1.ზოგადი დებულებები

1.1. —— წარმოადგენს საქართველოს
(ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობ სახელწოდება)
სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილ ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობას (შემდგომში - ამხანაგობა).
1.2. ——
(ამხანაგობის იურიდიული მისამართი; ელექტრონული ფოსტის მისამართი)

1.3. ამხანანაგობას შეუძლია ჰქონდეს განცალკევებული ქონება, იგი თავის ვალდებულებებზე პასუხს აგებს ამ ქონებით, მას შეუძლია ამხანაგობის სახელით შეიძინოს ქონებრივი, არაქონებრივი უფლებები და ვალდებულებები, სასამართლოში გამოვიდეს მოსარცელედ და მოპასუხედ;
1.4. ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალებისათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად. ერთმანეთთან ურთიერთობაში პასუხისმგებლობის ოდენობა განისაზღვრება მონაწილეთა წილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

მუხლი 2. ერთობლივი საქმიანობის (მხანაგობის) მიზნები

ერთობლივი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის დაგრში ფუნქციონირება, მეცხოველეობის დარგის განვითარება, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება/რეალიზაცია.
——
(შესაძლებელია სხვა მიზნის მითითება)

მუხლი 3. ერთობლივი საქმიანობის მონაწილეები (ამხანაგობის წევრები)

3.1. ერთობლივი საქმიანობის მონაწილეები (ამხანაგობის წევრები) არიან:

1. ——
(სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი. იურიდიული პირის შემთხვევაში საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი, საიდენტიფიკაციო ნომერი)

2. ——

3. ——

მუხლი 4. წევრთა უფლებები და მოვალეობები

4.1. ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით ამხანაგობის წევრები კისრულობენ ვალდებულებას ერთობლივად იმოქმედონ საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით, იურიდიული პირის შეუქმნელად.
4.2. მონაწილეებმა უნდა შეიტანონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესატანები. თუ ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული შესატანის ოდენობა, თითოეული მონაწილე მოვალეა

შეიტანოს იგი თანაბრად. შესატანი შეიძლება შეტანილ იქნეს როგორც ქონებით, ასევე მომსახურების გაწევით.
4.3. თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, შესატანები წარმოადგენს მონაწილეთა საერთო საკუთრებას. მონაწილეთა საერთო საკუთრებას შეადგენს ისიც, რაც შეძენილია საერთო საკუთრებაში არსებული უფლების საფუძველზე, ანდა მიღებულია ანაზღაურების სახით საერთო ქონების განადგურების, დაზიანების ან ამოღების გამო.
4.4. წილი ქონების ან უფლების სახით არ შეიძლება გადაეცეს მესამე პირს ხელშეკრულების სხვა მონაწილეთა თანხმობის გარეშე. უარი თანხმობაზე დაიშვება მხოლოდ პატივსადები მიზეზის არსებობისას. ხელშეკრულების დანარჩენ მონაწილეებს აქვთ მესამე პირისათვის გადასაცემი წილის უპირატესი შესყიდვის უფლება.
4.5. ერთობლივი საქმიანობის მონაწილეთა ის მოთხოვნები ერთმანეთის მიმართ, რომლებიც გამომდინარეობს ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებიდან, არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს.

მუხლი 5. მართვის ორგანო და მისი ფუნქციები

5.1. საზოგადოების უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს წევრთა საერთო კრება.
5.2. კრება უფლებაუნარიანია, თუ მას ესწრება ამხანაგობის მონაწილეთა ნახევარზე მეტი
5.3 გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისია ხმათა უმრავლესობა, იგი განისაზღვრება ამხანაგობის წევრთა საერთო რაოდენობის მიხედვით.
5.4 ერთ მონაწილეს (წევრს) აქვს ერთი ხმა.

მუხლი 6. საზოგადოების ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

6.1 ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი არის .... (სახელი გვარი პირადი ნომერი).

მუხლი 7. წევრთა შორის შემოსავლებისა და ზიანის განაწილების წესი და პირობები

7.1. შემოსავლები მონაწილეებს შორის ნაწილდება მათი წილის შესაბამისად.
7.2. თითოეულ მონაწილეს უფლება აქვს მოსთხოვოს ყოველ მონაწილეს ერთობლივი საქმიანობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.
7.3. ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალებისათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად. ერთმანეთთან ურთიერთობაში პასუხისმგებლობის ოდენობა განისაზღვრება მონაწილეთა წილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

მუხლი 8. ერთობლივი საქმიანობის ხანგრძლივობა, ხელშეკრულებიდან გასვლის წესი

8.1. ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა არსებობს ამხანაგობის მიერ დასახული მიზნის მიღწევამდე.
8.2. ყოველ მონაწილეს ნებისმიერ დროს შეუძლია უარი თქვას ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობაზე. ხელშეკრულებიდან გასვლა დაიშვება მხოლოდ პატივსადები მიზეზების არსებობისას.
8.3. ერთ-ერთი მონაწილის გასვლა არ იწვევს ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტას. ასეთ შემთხვევაში გამსვლელი მონაწილის წილი ნაწილდება სხვა მონაწილეებს შორის. გამსვლელ მონაწილეს წილის კომპენსაცია მიეცემა ფულადი სახით. ამასთან, მხედველობაში მიიღება გასვლის დროისათვის შეუსრულებელი გარიგებები.

8.4. ბათილია შეთანხმება, რომელიც აუქმებს ან ზღუდავს ხელშეკრულებიდან მონაწილის გასვლის უფლებას.

მუხლი 9. ხელშეკრულების შეწყვეტის და დარჩენილი ქონების განაწილების წესს

9.1. ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტის საფუძვლებია:
ა) ერთობლივი საქმიანობის შეთანხმებული ვადის გასვლა;
ბ) მონაწილეთა გადაწყვეტილება;
გ) ერთობლივი საქმიანობის ქონებაზე საგაკოტრებო საქმის წარმოების გახსნა;
დ) ერთობლივი საქმიანობის მიზნების განხორციელების შეუძლებლობა.
ე) ხელშეკრულების ერთ-ერთი მონაწილის გარდაცვალება;
ვ) ერთ-ერთი მონაწილის ქონებაზე საგაკოტრებო საქმის წარმოების გახსნა;
ზ) ხელშეკრულების მოშლა.
9.2. ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტისას უნდა დამთავრდეს ჯერ კიდევ შეუსრულებელი გარიგებები, შედგეს საინვენტარიზაციო ნუსხა, ხოლო დარჩენილი ქონება განაწილდეს მონაწილეებს შორის მათი წილის შესაბამისად.
9.3. ქონების განაწილებისას უნდა დაიფაროს ერთობლივი საქმიანობის დროს წარმოშობილი ვალები. თუ ქონება საკმარისი არ არის ვალების დასაფარავად, ხელშეკრულების მონაწილეები ვალდებულნი არიან გაისტუმრონ ვალები თავიანთი წილის შესაბამისად.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ყველა წევრის მიერ ხელმოწერის მომენტიდან.
9.2. თუ ამ ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს ხელშეკრულების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.
9.3 ამ ხელშეკრულებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შირის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

_____ /_____/
(დამფუძნებლის/წევრის სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

_____ /_____/
(დამფუძნებლის/წევრის სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

_____ /_____/
(დამფუძნებლის/წევრის სახელი, გვარი) (ხელმოწერა)